



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება.

შეიქმნა 1988 საქართველოში მთავრობის საგანგებო დადგენილებით, 1959 დაარსებული საქართველოში სოფლის მეურნეობის სამისტროსთან არსებული სოფლის მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბაზაზე, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა აგრ. სექტორში აქტუალური ეკონ. პრობლემების კვლევას. ინ-ტის დაარსებიდან, მისი დირექტორი იყო ა. ნიჟარაძე, 1960-86 - პ. ჟღენტი, 1986-88 - ვ. პაპუნძე, 1988-2006 - ვ. ბურკაძე, 2006-07 - თ. ქეშელაშვილი, 2007-11 - ა. ლაფაჩი. ინ-ტმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიძვალა სახელწოდება და, შესაბამისად, კვლევის თემატიკა. ინ-ტში ამუშავებდნენ ორ მნიშვნელოვან პრობლემას: სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწ. დარგობრივ სტრუქტურის ოპტიმიზაცია სამხარეო და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით და სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწ. ფუნქციონირების ეკონ. მექანიზმის სრულყოფა აგრ. რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად. ინ-ტში შესრულებული სამუშაოებიდან აგრეთვე აღსანიშნავია: საქართველოში სოფლის მეურნეობის სანარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემის შექმნა, რ-ის მიხედვითაც ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყო 13 ზონა თავისი 6 ქვეზონით. აღნიშნული სქემა საფუძვლად დაედო ქვეყანაში აგრ. სექტორის ხაზით ჩატარებულ გამოკვლევებს, რ-ებიც უპირატესად რეგიონულ ასპექტებს მოიცავდა; მათ. მოდელირების გამოყენებით დამუშავდა აგრ. სექტორის კომპლ. განვითარების პროგნოზი მინ., ოპტიმალურ და მაქს. პარამეტრებში, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი მიწების (კოლხეთის დაბლობი) სას.-სამ. ათვისების

ეკონ. ეფექტიანობის ამაღლების მეცნ. რეკომენდაციები, რ-ებიც საფუძვლად დაედო საქართვე. მელიორაციის განვითარების სახელმწ. პროგრამას.

ინ-ტი მონაწილეობდა აგრ. სექტორის სხვადასხვა სანორმატივო-საკანონმდებლო აქტის მომზადებაში. ფუნქციონირებდა ასპირანტურა და სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი საბჭო.

2007 საქართვე. განათლებისა და მეცნ. მინისტრის ბრძანებით, აგროსამრეწვ. კომპლექსის ეკონ. და მართვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდ. პირი – აგრარული ეკონომიკის ინ-ტი, რ-ის სახელმწ. კონტროლი დაევალა საქართვე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 2010 იგი გადაეცა აგრარულ უნ-ტს, ხოლო 2011 კი ინ-ტმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ვ. ბურკაძე

მ. თოქმაზიშვილი
